პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ОТХШАБАТИ — ოთხშაბათი, 12 აგვისტო 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

180 (878) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მანევრები და სოფელთან კავშირი.

ახალგაზრდა წითელ არმიელს მუდამ უნდა ახსოვდეს სოფელთან კავშირის გაძლიერების შესახებ. განსაკუთრებით ეს არ უნდა დაივიწყოს მან მანევრების დროს, ვინაიდან მანევრების პირობები ისეთია, რომ მოითხოვს დიდ სიფრთხილეს გლეხობის მიმართ.

როგორც ვიცით მანევრები, რომელიც სამხედრო და პოლიტიკურ მომზადების პრაქტიკული გამოცდაა, ხდება იმ ადგილებში, სადაც მახლობლად მდებარეობს ყანები, ბოსტნები—ერთი სიტყვით ყოველივე ის რაც გლეხების ნაშრომს და ნაოფლარს შეადგენს.

წინად თვითმპყრობელობის დროს მეფის ჯარის კაცები მანევრებზე ანადგურებდენ გლეხების ნაამაგარს და დიდ ზიანს აყენებდენ მათ. ცხადია წითელი არმიისაგან ეს ყოვლად დაუშვებელია.

წითელი არმია, როგორც მუშების და გლეხების დამცველი შეიარაღებულ ძალა, მოვალეა მანევრების დროსაც მხედველობიდან არ გაუშვას გლეხების ინტერესი და თავისი ყურადღებიანი მოპყრობით არავითარ შემთხვევაში ზიანი არ მიაყენოს სოფელს.

უნდა აღინიშნოს, რომ მანევრების დროს საცდუნებელი ბევრი აქვთ წითელ არმიელებს. ვსთქვათ წითელი მოლაშქრე აღლუმზეა, მან კარგი მანძილი გზა გაიარა და ძლიერაც მოშივდა. ხედავს აგერ ბოსტანია და შიგ ვებერთელა საზამთროები. წითელ არმიელი თვალის დახამხამებაში უკვე ბოსტანშია და მოწყვეტილ საზამთროს მოათრევს. თანაც ის ჟეჟნის სხვა ბოსტნეულ მცენარეებსაც და ყურადღებას არ აქცევს მას, თუ როგორ ანადგურებს გლეხის ნაშრომს თავისი სამარცხვინო საქციელით.

რას იტყვის ამის შემდეგ გლეხი? როგორი შეხედულება ექნება მას წითელ არმიაზე?

ცხადია რომ ასეთი საქციელით ჩვენ არამც თუ არ გავაღრმავებთ კავშირს გლეხობასთან, არამედ ძლიერ შევასუსტებთ მას.

გლეხს იმედი გაუცრუვდება წითელი არმიაზე.

ამიტომ მანევრების დროს საჭიროა თითეული წითელმოლაშქრე ისე მოუფრთხილდეს ნათეს და გლეხის ყოველგვარ ნამუშევარს, როგორც თავისას.

გარდა ამისა მანევრების დროს, თავისუფალ წუთებში საჭიროა საუბრებისა თუ სხვა სახით გლეხობასთან დაახლოება—წითელი ყაზარმის ცხოვრების მისთვის გაცნობა და სხვა.

ამრიგად მანევრები უნდა გახდენ სოფელთან კავშირის მეტი განტმკიცების და გაძლიერების პერიოდათ და ამ განმტკიცებაზე უნდა იზრუნოს მთელ წითელ ჯარმა დაწყებული მეთაურით და გათავებული რიგის წითელი არმიელით.

## „სიძნელეთა კვანძი“.

**„იზვესტიას“ წერილი.**

ამ სათაურით გაზ. „იზვესტიაში მოთავსებულია მოწინავე წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩინეთის ამბების გარშემო შექმნილი დიპლომატიური მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდება.

ამერიკის მთავრობა მტკიცედ იცავს გადაწყვეტილებას რათა გატარებულ იქნას ცხოვრებაში ვაშინგტონის შეთანხმებებიდან გამოსული ვალდებულებანი.

ჩინეთის მთავრობის წრეებში უკვე რწმუნდებიან, რომ ვაშინგტონის შეთანხმება ვერ არის შესაფერისი ბაზა ჩინეთისა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად, მაშინ, როცა ამერიკის მთავრობა ჩინეთში გავლენას საფუძვლად უდევს სწორედ ამ ვაშინგტონის შეთანხმებას.

ინგლისის მთავრობას სურს დაკმაყოფილდეს მარტო კონფერენციით საბაჟო საკითხების შესახებ.

საფრანგეთი ერთის მხრივ სცდილობს გააძლიეროს ჩინეთში თავისი გავლენა და მისცეს თავის პოლიტიკას უფრო კეთილ მეგობრული ელფერი ხოლო მეორეს მხრივ ეძებს კომპენსაციებს ინგლისთან მოსალაპარაკებლად გერმანიისა და მაროკოს საკითხში.

იმავ დროს პრაქტიკული შესაძლებლობანი ძალით აიძულონ ჩინეთი დაემორჩილოს დიდ სახელმწიფოებს, თანდათან ეცლება უკანასკნელთ ხელიდან.

ჩინეთის საკითხში ამ უთანხმოებათა და ინტერესთა სხვა და სხვაობის განვითარებასთან პარალელურად ინგლისის მთავრობა შეუდგა საზღვაო შეიარაღების ვრცელი პროგრამის ასრულებას, რასაც მხედველობაში აქვს წყნარი ოკეანე. რომ ეს პროგრამა შეიცავს იაპონიის საწინააღმდეგო მახვილს, ამას პირდაპირ აღიარებს ინგლისის პრესა, მაგალითად მთავრობასთან ახლო მყოფი „დეილი ტელეგრაფი“.

ამრიგად შორეული აღმოსავლეთის საერთო სურათი წარმოადგენს სახელმწიფოების პოლიტიკის ხაზების არა დაახლოებას, არამედ, პირიქით მათი წინააღმდეგობის გაღრმავებასა და მომავალ საბრძოლო შეხლათა ელემენტების გაძლიერებას“.

# ახალი რადიო-ამბები

## „მანჩესტერ გარდიენი“ ხსნის ბოლშევიკების გავლენის საიდუმლოებას ჩინეთში.

„ბოლშევიკები სცხოვრობენ აწმყოთი, ინგლისელები კი წარსულით.“

„ჩინელებს რომ ადამიანურად მოვეპყრობოდეთ, მაშინ იქ ჩვენ დავიკავებდით მოსკოვის მისიონერების ადგილს.“

ინგლისური ლიბერალური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს:

„ბოლშევიკებმა იმიტომ მოიპოვა გავლენა ჩინეთში, რომ რუსეთმა უარი სთქვა ექსტერიტორიალობაზე. ბოლშევიკებმა ალღო აუღო ჩინელთა განწყობილებას. იმ დროს, როცა ბოლშევიკები აწმყოთი ცხოვრობენ, ინგლისელები ცხოვრობენ თითქოს ბოქსერთა აჯანყების ეპოქაში. რომ მოვეპყრათ ჩინელებს, როგორც ჩვენი ცივილიზაციით შექმნილ ადამიანებს, ჩვენ დავიკავებდით იქ მოსკოვის მისიონერების ადგილს.“

კონსერვატორების გაზეთი „დეილი ექსპრესი“ ხაზს უსვამს, რომ ინგლისის კომერსანტები თავიანთი „უხეში“ მოქცევით შორეულ აღმოსავლეთში ხელს უწყობენ ინგლისის დიპლომატების უკიდურეს უკმაყოფილებას ჩინეთის მიმართ.

## კუკი წინასწარმეტყველობს პოლიტიკურ კრიზისს ინგლისში.

ინგლისის სამრეწველო კრიზისი მალე გადაიქცევა პოლიტიკურ კრიზისად.

პროფკავშირთა ხელმძღვანელობა ხელთ უნდა აიღოს კავშირთა რიგის წევრებმა.

მუშათა კრებაზე დერგემში (ინგლისში) კუკმა (სამთომადნო მუშათა ბელადი) განაცხადა, რომ მისი აზრით, პარლამენტი დაშლილი იქნება ერთი წლის განმავლობაში და მოხდება ახალი არჩევნები, ვინაიდან დღევანდელი სამრეწველო კრიზისი პოლიტიკურ კრიზისად გადაიქცევა.

ამის გამო—განაცხადა მან—უნდა გაძლიერებულ იქნას პროფკავშირთა საბჭოს ძალები. პროფკავშირთა რიგის წევრებმა უნდა აიღონ პროფკავშირთა ხელმძღვანელობა და გაათანაბრონ ისინი დღევანდელ ამოცანასთან შეფარდებით.

## მილიტარისტების ძალმომრეობა ჩინეთში.

ჩინეთის პოლიციამ დახურა მესაფქვავე მუშათა პროფესიონალური კავშირი.

სამხედრო ძალები მოითხოვენ ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვების შეწყვეტას.

## მაროკოს ამბები.

რიფები აძლიერებენ თავიანთ რაზმებს.

ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ რიფის შეიხმა გადღუმ გამოაცხადა ჯებალის ტომთა მობილიზაცია რაზმების გასაძლიერებლად, რომელთაც უკავიათ ჯაბელი და ტარზასი და რომელთაც ნაბრძანები აქვთ გამაგრდენ ადგილზე და განაგრძონ საფორტიფიკაციო მუშაობა. ფრონტის სხვა და სხვა უბნებიდან იტყობინებიან საფრანგეთის ავიაციის გაძლიერების შესახებ.

## მღელვარების შესახებ სპარსეთის არაბისტანში.

არაბებთან ბრძოლის დროს მოკლულ იქნა 120 კაცი.

მიღებულია ცნობები, რომ შეიხ-ჰეიზალის წარმომადგენელმა ბალათურ ხანმა, რომელიც იმყოფებოდა ბასრაში, რამოდენიმე დღით ადრე, სანამ სპარსეთის არაბისტანის ტომები თავს დაესხმოდენ მოხამერს, მოიწვია მოხამერის შეიხის ახლობლები, მისცა მათ ექვსი თვის ჯამაგირი წინდაწინ და ამასთან ინსტრუქციები სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ გამოსასვლელად.

ფელახიეში ამჟამად წესრიგი აღდგენილია. არაბებთან ბრძოლის დროს მოკლულ იქნა 120 კაცი ფელახიეს მოსახლეობიდან.

## დამარცხებულის ექსკურსია.

ვრანგელი სცდილობს მკვდარის გაცოცხლებას.

ვრანგელი მივიდა ბრიუსელში, სადაც მას ჰქონდა ხანგრძლივი მოლაპარაკება თავის ყოფილ ოფიცრებთან თეთრი არმიის აღდგენის მიზნით.

ბევრმა ოფიცერმა უარი განაცხადა ვრანგელთან დაბრუნების შესახებ.

## საბჭოთა კავშირში

ალლუმი ახალ მეთაურთა გამოშვების გამო.

„ჩვენი ცოდნა ენერგია და სიძულვილი მიმართულ იქნება კაპიტალისტების წინააღმდეგ“.

9 აგვისტოს მოსკოვში, ოქტომრის მინდორზე გაიმართა ალლუმი ნორმალურ სამხედრო სკოლებიდან უმცროს მეთაურთა გამოშვების გამო. სკოლები დაასრულა 1502 კაცმა.

ალლუმს დაესწრო ფრუნზე, ენუქიძე, უნშლიხტი, ბუდიონი, იაპონიის ელჩი და სხვა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვა ენუქიძემ, ფრუნზემ და სხვებმა.

საპასუხო სიტყვაში ერთმა წითელ მეთაურთაგანმა განაცხადა:

„ვფიცავთ, რომ მთელს ენერგიას, ცოდნასა და ძალას, მთელს სიძულვილს კაპიტალისტებისადმი ჩვენ შევიტანთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში“.

# რას მოგვითხრობენ ბესარაბიიდან გადმოხვეწილები.

ბესარაბიაში შიმშილობამ მწვავე ხასიათი მიიღო.

რუმინეთის მთავრობას ეშინია გლეხთა აჯანყების და აძლიერებს ბესარაბიაში ჟანდარმების რაზმებს.

სამაზრო ციხეები გავსებულია პატიმრებით. გრძელდება მასიური დაპატიმრება.

მოლდავანი ჯარისკაცები სამსახურში ურჩობის გამო გადაჰყავთ ბესარაბიიდან ცენტრისაკენ.

როგორც ბესარაბიიდან გადმოხვეწილები გადმოგვცემენ, რუმინეთის მთავრობა მეტად შეწუხებულია ბესარაბიაში შიმშილობით, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო. მთავრობას ეშინია აჯანყების და აძლიერებს ბესარაბიაში ჟანდარმების რაზმებს. სწარმოებს მასიური დაპატიმრება. უკანასკნელ კვირაში კიშინევის ციხეში მოათავსეს 500 კაცი. სამაზრო ციხეები გავსებულია.

რუმინეთის ხელისუფალნი მეტად შეწუხებული არიან ჯარისკაცების ურჩობით, განსაკუთრებით მოლდავანების, რომლებიც იმყოფებიან ბესარაბიაში. ესენი გადაჰყავთ ცენტრისაკენ.

დნესტრის განაპირა მცხოვრებ გლეხობას დავალებული აქვს სიკვდილით დასჯის მუქარით შეატყობინონ მთავრობას საბჭოთა მეთევზეების შესახებ, რომლებიც გამოჩნდებიან მდინარეზე.

## კოტოვსკის მკვლელობის შესახებ.

გმირის დასაფლავება პირველ გამარჯვების ადგილზე.

მოლდავიის ცაკის სესიამ განიხილა ბირზულის მუშებისა და გლეხების შუამდგომლობა, რათა ნება მიეცათ კოტოვსკის დასაფლავების შესახებ ბირზულში, სადაც 1919 წელს შემდგარ იქმნა კოტოვსკის პირველი ცხენოსანი ნაწილი, რომელმაც პირველად გაიმარჯვა კოტოვსკის ხელმძღვანელობით.

სესიამ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და დაადგინა დასაფლავებულ იქნას კოტოვსკის ბირზულში. კოტოვსკის გვამს გადააგზავნიან ამ დღეებში ბირზულში.

გვამი დაბალზამებულია პროფესორ კონდრატიევის მიერ. კოტოვსკის ცხედარი შეამკო გვირგვინით, ფრანგ გლეხთა კომუნისტურ სინდიკატის მეთვალყურეთა დელეგაციამ.

## დახმარება ღარიბეს გლეხობას.

ღარიბეს გლეხობის დასახმარებლად, რომლებიც უფულობის გამო ჰყიდიან პურს და შემდეგ ყიდვა უხდებათ თა

ვის საჭიროებისათვის, შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა ცენტრალურ სამეურნეო ბანკს მოაწყოს დახმარება ღარიბ მოსახლეობაზე პურის საწინდრის წესით.

## საბჭოთა საქართველოში.

სეტყვა ალაზნის რაიონებში.

6 აგვისტოს ალაზნის განაპირა სოფლებში მოვიდა ძლიერი სეტყვიანი წვიმა. წყალმა გაარეცხა გზები, პურის ყანები და ვენახები. დიდი ზარალი მიადგა სოფელ ენისელს, შილდას, ყვარელსა და ახალსოფელს.

## საქონლის ჭირი.

სოფელ ყვარელში, შილდაში, ახმეტაში და ალვანში თავი იჩინა ჭირმა. ვეტერინარები აწარმოებენ აცრას.

## გერმანიის მუშათა დელეგაცია აჭარისტანში.

„ყოველი ახალი დღე გვიმტკიცებს თქვენ ძლიერებას".

გერმანიის მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა აჭარისტანის სხვა და სხვა დაწესებულებები და შემდეგ ინახულა აჭარისტანის ჰიდრო-სადგური.

დელეგაცია მეტად დაინტერესებული იყო მშენებლობით, შემოიარა მუშათა სადგომები და დაწვრილებით გაეცნო მუშაობის პირობებსა და მუშათა ყოფა-ცხოვრებას.

შემდეგ, მუშათა კლუბში გამართულ მიტინგზე დელეგაციას მიესალმა ხარაბაძე.

საპასუხო სიტყვაში დელეგატმა ბეკმა განაცხადა:

„თვითეული დღე გვაძლევს ჩვენ თქვენი პროლეტარიატის ძლიერების ახალ-ახალ საბუთებს. ლენინის იდეა—კომუნიზმის პრაქტიკული განხორციელება, ტარდება ცხოვრებაში თქვენ მიერ.

ასეთი მიღწევები შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. მთელი ჩვენი სურვილია, რათა გერმანიაშიც გატარებულ იქნეს თქვენი სისტემა, რომელიც იძლევა ასეთ ბრწყინვალე შედეგებს.

მუშებმა „ურასა" და „ვაშას" ძახილით გააცილეს დელეგაცია.

დელეგაცია 11 აგვისტოს გაემგზავრა სოხუმში, საიდანაც დაბრუნდება ბათუმში 13 აგვისტოს.

## სოხუმი სტუმრების მოლოდინში.

სოხუმის მშრომელები ემზადებიან გერმანიის მუშათა დელეგაციის საზეიმო შეხვედრისთვის.

დელეგაციას იქ მიელიან დღეს, 11 აგვისტოს.

# სამხედრო მანევრებზე.

### მუშაობის პირობები.

სამხკორთა მუშაობის პირობები მანევრებზე გაცილებით ბევრჯერ ძნელია, ვინემ ყაზარმებსა და ბანაკებში. აქ არ არის არც ლენინის კუთხე, არც კარავი, სადაც სამხკორს, მოცლილ დროს შეეძლოს ცნობის დაწერა. მასთან თავისუფალი დროც ცოტა აქვს სამხკორს მანევრების დროს.

### თავის დროზე წერილის მიწოდება

სამხკორის ძირითადი თვისებაა.

მშვიდობიან ცხოვრების პირობებში ბევრი ცნობა დიდის დაგვიანებით იწერებოდა. მანევრებზე (იგულისხმე ომის დროს) ეს არ უნდა ხდებოდეს, ვინაიდან მანევრულ ცხოვრების ყოველ საათს მოაქვს რაღაც ახალი და წარსული საათის ამბავი ძველდება და ჰკარგავს მნიშვნელობასა და ინტერესს.

### ცნობის სწრაფად გაგზავნა გაზეთში-

ესეც სამხკორის მნიშვნელოვანი თვისებაა. როგორც შტაბში დასმენა, ისე საგაზეთო ცნობაც სწრაფად უნდა იქნას გაგზავნილი. წერილების გადაგზავნის ყოველგვარი საშუალება გამოყენებულ უნდა იქნას.

### რაზე უნდა იწერებოდეს მანევრების დროს.

ძირითადი მომენტი საერთო შეკრების-მანევრების დროს—ეს არის ნაწილების ურთი-ერთ მოქმედება. ქვეითა ჯარისა და არტილერიის, ქვეითისა და ცხენოსანის ურთიერთმოქმედება, სპეციალურ ნაწილების მოქმედება, ყოველგვარ კავშირის დაკავება მომქმედ და ზურგის ნაწილებს შორის, მესანგრეთა მუშაობა შენილბვაში, აფეთქების საქმეში, გზების გაყვანაში, ხიდეების აგებაში და სხვა—აი ძირითადი თემები ყველა ნაწილების სამხკორთათვის.

ვინაიდან ბრძოლის წარმატება დამოკიდებულია ყველა გვარი იარაღის ჯარების მოქმედებათა შეთანხმებაზე, სამხკორებმა უნდა აღნიშნონ ყველაფერი და ნაკლი მოქმედებაში გატარებულ უნდა იქნას კრიტიკის ცხრილში.

### მარჯვე და გმირი მეომრები აღნიშნულ უნდა იქნან.

ბრძოლის, ზვერვის დროსა და სხვა, ბევრი ამხანაგი გამოიჩენს მოხერხებულებას, გამბედაობასა და გამჭრიახობას. ასეთი ამხანაგები, როგორც სამაგალითო წითელ-არმიელები გამოყოფილ უნდა იქნან და მათ შესახებ უნდა გაიგზავნოს ცნობები თავის დროზე. ამასთან ერთად უნდა აღნიშნულ იქნან დაუდევრები და თავის ამოცანებისადმი დაუდევარი პირები, ვინაიდან ასეთი ამხანაგები ზიანს მიაყენებენ ნაწილს ბრძოლის დროს.

### პარტპოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა მანევრებზე.

პოლიტმეცადინეობისა და პოლიტსაუბრის ჩატარება ბანაკზე და დღისით შესვენების დროს, მიტინგები და წითელ-არმიელთა კრებები მოსახლეობასთან ერთად, პოლიტგასამართლება, ზეპირი გაზეთები, სპექტაკლები, კონცერტები, შუქის გაზეთები და კინო, ლიტერატურის განაწილება ადგილობრივ მოსახლეობის შორის აგიტაცია და სხვა და სხვა—ყველაფერი ეს აღნიშნულ უნდა იქნას სამხკორთა ცნობებში.

### როგორ უნდა იწერებოდეს.

სამხკორს მანევრებზე ცოტა დრო აქვს. ამიტომ ყველა ცნობები დაწერილ უნდა იქნას რაც შეიძლება მოკლედ და საქმიანად. ზოგიერთ შემთხვევაში, სანამ სამხკორი, გამოიტანდეს თავის დასკვნებს მანევრების შესახებ, კარგი იქნება ამის შესახებ ითათბირებდეს მეთაურთან, კომისართან და სხვა.

### კავშირი მოსახლეობასთან.

არც ერთი დღიური შესვენება სამხკორმა ტყვილა-უბრალოდ არ უნდა დაჰკარგოს.

ადგილობრივ მოსახლეობასთან, სოფლკორებთან ერთად სამხკორებს შეუძლიათ სცადონ კედლის გაზეთების გამოშვება.

თუნდაც გაზეთი გარეგნულად უფერული გამოვიდეს—მთავარი შინაარსია.

კედლის გაზეთების გამოშვების ამოცანათა შესრულება მანევრებზე (დღიური შესვენების დროს) შესაძლებელია.

მაგალითად სომხეთის დივიზიის ცხენოსანმა ლეგიონმა ოთხი საათის განმავლობაში გამოუშვა კედლის გაზეთი „სმიჩკა" (დაკავშირება, დაახლოება) ახალ ბაიაზეთის მაზრაში, სოფელ ცახკუნკში.

მშრომელები დაინტერესებული არიან წითელი არმიის ცხოვრებით. ამიტომ შეჩერების დროს შეიძლება ნაწილის ჩვეულებრივი კედლის გაზეთი გამოკვრა სოფლად, რომ წაიკითხოს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა.

ესაა ზოგადი დარიგებანი დანარჩენი თვით სამხედრო კორესპონდენტის სიმარჯვეზე მოფიქრებასა და გამჭრიახობაზე დამოკიდებული.

ა. ჭ.

„კრასნი ვოინ"

# საფრანგეთის კომუნისტები ებრძვიან მაროკოს ავანტიურას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მედგრად ებრძვის თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის მორიგ სისხლიან ავანტიურას. თავისი გაზეთების ფურცლებზე თუ პარლამენტის ტრიბუნიდან ის ფარდას ხდის იმ საზიზღარ დაპყრობით ომს, რომელსაც იმპერიალისტური საფრანგეთი აწარმოებს თავისუფალ რიფების წინააღმდეგ.

როცა საფრანგეთის მტაცებლები შეუდგენ აბ-დელ-ქერიმის წინააღმდეგ ბრძოლას, ისინი ერთხმად გაჰკიოდნენ და ეხლაც არ იშორებენ ენიდან: „ჩვენ მხოლოდ საფრანგეთის ერის ინტერესებს ვიცავთ. რიფები ემუქრებიან საფრანგეთის სამფლობელოს და ამიტომ საჭიროა ისინი ჩავაჩუმოთო".

ასე ხსნის იმპერიალისტური ბურჟუაზია და მისი ერთგული მთავრობა თავის მორიგ მტაცებლობას. ნამდვილად კი ამ ლამაზ სიტყვების ქვეშ ამოფარებულია უხეში ძალადობა და ძალმომრეობა.

ყოველივე ეს საძაგლობა დღის სინათლეზე გამოიტანა კომუნისტურ პარტიამ და მოუწოდა მუშათა კლასს შეებრძოლოს ბურჟუაზიის მიერ დაწყებულ ახალ სისხლის ღვრას.

ეს არ მოეწონა ბურჟუაზიას და საფრანგეთის გამცემლურ სოციალისტებს, ვინაიდან კომუნისტების ანტიმილიტარისტულ (ომის საწინააღმდეგო) აგიტაციამ ფართე გამოძახილი ჰპოვა მშრომელთა მასებში. კომუნისტური პარტიის ენერგიული პროპაგანდის გავლენის ქვეშ საფრანგეთის მუშათა კლასი რაც დღე მიდის უფრო და უფრო ამაღლებს თავის საპროტესტო ხმას მაროკოს სასაკლაოს წინააღმდეგ.

„ძირს საზიზღარი ომი"! უფრო და უფრო მრისხანედ მოისმის მის პირიდან.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ იგრძნო კომპარტიის სიძლიერე და ის შეუდგა კომუნისტებთან ბრძოლას.

მთელი ბურჟუაზიული და სოციალ-გამყიდველთა პრესა აყაყანდა კომპარტიის წინააღმდეგ.

„კომუნისტები სამშობლოს მოღალატენი არიან, და სხვ." — დაიწყო ყვირილი საფრანგეთის კონტრრევოლიუციამ. ამავე დროს იმპერიალისტურ მთავრობამ აამუშავა მთელი თავისი მჩაგვრელი აპარატი. დღეს რადიო გადმოგვცემს, რომ კომუნისტური გაზეთები მიცემულია პასუხისგებაში. კომპარტიის გამოჩენილ წევრებს ქაროს, სემარის და ტურეის ბრალად ედებათ „ანარქისტული ინტრიგა" და სხვა.

ცილისწამებებითა და პროვოკაციის საშვალებით საფრანგეთის ბურჟუაზია სცდილობს სახელი გაუტეხოს კომპარტიას, მოიმწყვდიოს ის ციხის კედლებში, მოიცილოს თავიდან მისი წარმომადგენლები პარლამენტში, რომ კომუნისტურ დეპუტატებმა არ ამხილონ იმპერიალიზმის შავი საქმენი მშრომელთა მასებს, და სხვა.

მაგრამ რეპრესიები და დევნა ბურჟუაზიას ვერაფერს ვერ უშველის. მაროკოს ავანტიურის გამანადგურებელ შედეგებს უშუალოდ გრძნობს თავის ზურგზე საფრანგეთის პროლეტარიატი.

და რაც უფრო გაგრძელდება მაროკოს ომი, მით უფრო მწვავე იქნება მისი გავლენა მშრომელთა მასებზე, მით უფრო შეურიგებელ ხასიათს მიიღებს პროლეტარიატის ბრძოლა მყვლეფელების წინააღმდეგ, მით უფრო ღრმად დარწმუნდება ის კომპარტიის სიმართლეში და მტკიცედ გაჰყვება მას ბურჟუაზიის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის გასამართავად.

—ე.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ჩვენი ალლუმი.

მე-4 ლეგიონი.

6 აგვისტოს ლეგიონი გავიდა საალლუმოთ. ყველას საომარი სახე ქონდა მიღებული. ლეგიონი გაიყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ. ერთს ქონდა დავალებული დაეცვა სოფ. №, ხოლო მეორეს მტერი უკუეგდო და გაენთავისუფლებია სოფ. №. გავედით. მიუახლოვდით საბრძოლველ ხაზს —ათასის თავმა ყველა ასეულებს მიუჩინა საბრძოლველი ადგილი. ასეულები თავიანთ ადგილებში გაიშალენ შარში. მზვერავნი მოქმედებენ წინ.—ისმის კანტი- -კუნტათ თოფის სროლა. მზვერავნი შეხვდენ მოწინააღმდეგის მეთვალთვალეებს.—ასეულები გადავიდენ იერიშზე, გაუხსნენ მოწინააღმდეგეს ცეცხლი. ტყვიამფრქვევლები არაკრაკდა. მოწინააღმდეგეც კარგად მომზადებულა, წინააღმდეგობას უწევს. უცებ „ვაშას" ძახილი და ათასეული გადავიდა იერიშზე. სოფ. № აღებული იქნა. ალლუმის მსვლელობის დროს წ. არმიელნი კარგად ასრულებდენ ბრძანებას, ყველა შეგნებით ეპყრობოდა საქმეს. ალლუმი საერთოდ დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

ალლუმის შემდეგ მთელი უფ-პოლიტშემადგენლობა შეგროვდა და გაიმართა სჯა-ბაასი ალლუმზე. ყველა ასეულის თავებმა წარმოთქვეს თუ როგორ ამოქმედენ ასეული და რისთვის. შუამავალმაც აღნიშნა ორივე მხარის ნაკლი. ბოლოს ლეგთავმა ყველა ასეულის თავებს მიუთითა ნაკლზე და თუ როგორ უნდა გამოესწორებიათ.

ისევ ბუკის ხმა. ასეულები გროვდებიან და ბრუნდებიან ბინებში.

ლეგთავმა მადლობა გამოუცხადა ლეგიონს.

სამხკორი სან—მანი.

## ჩვენი შეფი.

მე-5 ლეგიონი.

2 აგვისტოს ჩვენი მე-5 ლეგიონის მე-3 ათასეული თავის შეფობის ქვეშ აიყვანეს ადგილობრივმა ალმასკომმა, კომუნალურ განყოფილებამ, ფინგანმა და „ეპო"მ, რის გამო ჩატარებულ იქმნა საზეიმო ალლუმი, ლენინის მოედანზე. ალლუმზე უკრავდა სამხედრო სასულე მუსიკა. ალლუმზე მონაწილეობა მიიღო ყველა ადგილობრივმა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებმა და სოფლებიდან გლეხობის წარმომადგენლებმა.

ალლუმის ჩატარების შემდეგ ათასეულში გაიმართა სადილი შეფების და გლეხობის წარმომადგენლების თან დასწრებით. საღამოს გაიმარა სპორტ-მოყვარეთა შეჯიბრება, შემდეგ მოხდა შეჯიბრი თოფის და ტყვიამფრქვევი მაქსიმესი დაშლა აწყობაში. შეჯიბრებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე. მოჯიბრეებმა მიიღეს სათანადო ჯილდო.

სამხკორი ყულისკარელი.

## სანიტსაათი არ ტარდება.

მე-2 არტლეგიონი.

ჩვენს ბატარეიაში, მართალია ხშირად არ ტარდებოდა სანიტსაათი, მაგრამ ეხლა სულ მოისპეს.

წითელ-არმიელები უკმაყოფილონი არიან ამით, რადგან ისინი დიდათ დაინტერესებულნი იყვნენ ამ საგნით.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ სანიტსაათი ჩაატარა ჩვენთან ერთმა ექიმმა და დაგვპირდა რომ ხშირ-ხშირად ვივლით. სამწუხაროდ ეს მხოლოდ დაპირებათ დარჩა და მას შემდეგ ის ჩვენ არ გვინახავს.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და სისტემატიურად ტარდებოდეს ჩვენთან სანიტსაათი.

სამხკორი ერქომაიშვილი.

## გადავლახეთ ყოველივე დაბრკოლება.

მე-4 ლეგიონი.

მე-2 ათასეული აქამდე არ იყო სათანადოთ მოწყობილი. მას ბევრი რამ აკლდა. არ იყო შეკეთებული ყაზარმები, არ ქონდა სასადილო, სამკითხველო და სხ. დღეს კი ყოველივე ეს ათასეულის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის ენერგიული მუშაობით გაკეთებულია. ამ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ მოგვეცა საშუალება გარკვეულში ენერგიით შევსდგომოდით კულტურულ დარგში მუშაობის წარმოებას. აქაც დიდი მიღწევები გვაქვს.

იმედი გვაქვს რომ მომავალში უფრო გავაძლიერებთ ჩვენს მუშაობას და საქმიანობას.

კ. ბალათურია.

## პოლიტ-სკოლებს პროგრამა აქვთ.

გაზ. „წითელ არმიელი"-ს № 176-ში მოთავსებული იყო წერილი მე-6 ლეგიონიდან სამხკორ „ას-ანის" მიერ ნაწილის პოლიტ-სკოლაში პროგრამის უქონლობის გამო. წერილის ავტორი, როგორც ეტყობა, ხელმძღვანელი უნდა იყოს აღნიშნულ სკოლის. მას მიუმართავს ბიურო კოლექტივის მდივნისათვის განცხადებით, თუ რატომ სამეცადინო პროგრამას არ გვაძლევთ. ბ. კოლექტივის მდივანს მიუცია მეტად ლაკონიური პასუხი: „პოლიტ განყოფილების მიერ ძველი პროგრამა გაუქმებულია და ახალი არ გადმოუგზავნიათო". არც ერთი და არც მეორე სინამდვილეს არ შეესაბამება. პოლიტ-განყოფილებამ ჯერ კიდევ ორი კვირის წინეთ გადაგზავნა ახალი პროგრამა, სადაც გარკვევით—დიდი ასოებით იყო დაწერილი „იმ ნაწილების სკოლები, რომლებიც ვერ მოასწრებენ ძველისა და ახალის გავლას, მოხდეს პირველის შეჩერება და უკანასკნელის გავლა, ვინაიდან ახალ პროგრამაში ლაპარაკია მე-14 პარტ-კონფერენციის და სრულიად საკავშირო რესპუბლიკების მე-3 ყრილობის დადგენილებებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს შემოდგომაზე უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებისათვის. სამხკორ ა-ნის მიერ მოთავსებული წერილი, რომ თავიდან ბოლომდე სიყალბეა, აღიარა თვით ლეგიონის სამხკომმა ამხ. ცინცაძემ.

ბ. კოლექტივის მდივანს მმართებს მეტი სიფხიზლე საქმისადმი და კორესპონდენტის ვალდებულებაა, რათა ჯერ გაიგოს სწორი ცნობა და შემდეგ სწეროს.

შ. ნ—ძე.

## სამურზაყანოელ წითელ არმიელის წერილი.

სახლში მივდივარ გახარებული.

მე 4 ლეგიონი.

1924 წ. მაისში გამიწვიეს წითელ ჯარის რიგებში.

როგორც ღარიბი გლეხის შვილი, სრულებით არ ვიცოდი არც წერა-კითხვა და არც ქართული.

ყაზარმაში შევისწავლე წერა-კითხვა და ქართული ენა. იმდენად კარგად შევისწავლე წერა-კითხვა, რომ მე ამირჩიეს ნოემბრის თვიდან ათასეულის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად. მხოლოდ არ შემიძლია დავფარო, რომ მეტრეველის წერილმა გამიტეხა გული, რომელიც გაზ. „წითელ არმიელი"-ს № 172 სწერდა ამხ. ბალათურიას საპასუხოდ, რომ თქვენი ბიბლიოთეკარი ქართული ენის არა მცოდნეაო. ამხ. ის დრო გგონია, როცა გორში ვიყავი და არაფერი ვიცოდი? მას მერმე დიდი დრო გავიდა ამხ. მეტრეველო და ჩემი ენერგიული მეცადინეობით მე შევძელი ყოველივე დაბრკოლებების გადალახვა, რაშიაც თვით შეგიძლიათ დარწმუნდეთ.

საბჭოთა ხელისუფლების წყალობით მე შევისწავლე წერა-კითხვა და ქართული ენა. გაუმარჯოს მას!

მე-2 ათასეულის წით. არმ

დომენტი სახეშვილი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## მოკლე ვადიანი შვებულება გამოყენებულ უნდა იქმნას.

მეთაურთა სამხედრო სკოლა.

ამ. ლ. კ. კ. წევრებმა საზაფხულო პერიოდში გაიარეს კავშირის ისტორია, კოოპერაციის მნიშვნელობა და გაეცნენ მე 3 საკავშირო ყრილობის დადგენილებებს. ამხანაგები მოკლე ვადით შვებულებაში მიდიან და იმედია, რომ ისინი თავიანთ სოფლებში უბრალოდ დროს არ დაკარგავენ და გაუშუქებენ თავიანთი მეზობლებს ყველა იმ საკითხებს, რაც მათ აქ წითელ ჯარის რიგებში შეიძინეს.

სამხკორი ლომია.

## დაიცავით წესრიგი.

1-ლი ლეგიონი.

პირველ ლეგიონის სამნეო გუნდს აქვს თავისი სასადილო, სადაც ისევე წითელ არმიელების მიერ დიდი უწესოება ხდება. მოაღწევს სადილობის დრო თუ არა შემოვლენ სასადილოში ერთი აურზაურით, არის ყვირილი, გინება, ესვრიან ერთმანეთს პურს და სხ. ეს ამხანაგები თავიანთ მოქმედებით ხელს უშლიან სხვა მოსადილეებს. თუ რამე უთხარი მათ, მოგდგებიან და მიწასთან გაგასწორებენ ლანძღვით.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და ასეთ უწესოებას მომავალში არ ქონდეს ადგილი სასადილოში.

წითელი არმიელი ნამგალი.

## ფერშალი არ ასრულებს თავის მოვალეობას.

1-ლი საარტ. ლეგიონი.

პირველი ქართული საარტილერიო ლეგიონის საყარაულო გუნდში ვართ დატოვებული რამოდენიმე წითელ-არმიელები. ჩვენთან არის დატოვებული ფერშალი, რომელიც თავის მოვალეობას არ ასრულებს როგორც კანონია.

ავადმყოფი წითელ-არმიელები მიდიან ქსენონში, მარა ფერშალი იქ თავის დღეში არ არის. ქსენონის კარები მუდამ დაკეტილია.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და მოახდინონ რაიმე გავლენა ფერშალზე, რომ ის თავის მოვალეობას ასრულებდეს როგორც რიგი და წესია.

წითელიარმიელი-ილი.

## ქართულ პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

21 ივლის შესდგა ჩვენი სკოლის კურსანტების საერთო კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება პიითურის კონცესიის შესახებ. საკითხმა მეტად დააინტერესა კურსანტები და გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. მოხსენების შემდეგ კრებამ მოისმინა პასუხისმგებელ სამხკორის ანგარიში და აირჩია ახალი ორგანიზატორი—სამხკორი თავართქილაძე. დასასრულ კრებამ გადასწყვიტა სკოლაში ურთიერთ დახმარების სალაროს დაარსება და სკოლის ჟურნალის გამოცემა.

ორივე ამ საკითხის ცხოვრებაში გატარება მიენდო კომუჯრედს.

კურსანტი კობახიძე.

## ზარმაცია თუ ავადმყოფი.

მე 5 ლეგიონი.

მე-5 ლეგიონის 1-ლ ათასეულის მე-2 ასეულში არის ცვალებადი ამხ. ლადაძე, რომელიც სრულებით მეცადინეობას არ ესწრება. როდესაც ეტყვის მას ზემდეგი სამეცადინოთ წადიო, ის უპასუხებს „ავად ვარ თქვე უღმერთოებო" და დაიწყებს ტირილს.

ეს ამხანაგი, როგორც ავადმყოფი იქნა გაწერილი კომისიაში, მაგრამ კომისიამ ის ვარგისათ ცნო და დაბრუნდა ნაწილში. მიუხედავად კომისიის დასკვნისა აღნიშნულ ამხ. მაინც არ მეცადინეობს.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და მას დაენიშნოს ხელახალი კომისია. თუ ვარგისია იმსახუროს და თუ არა განთავისუფლდეს.

თორემ ტყუილა უბრალოდ ატარებს წითელ არმიელის მაღალ სახელწოდებას.

სამხკორი ალგიჯო.

## „წითელი მოკავშირე".

1 ლი ცალკე საკავშირო ასეული.

1 აგვისტოს ჩვენი ასეულის კედლის გაზეთი გამოვიდა „წითელი მოკავშირე"-ს სახელწოდებით. გაზეთი საშუალო ფორმატისაა, სუფთადაა გამოცემული და შინაარსის მხრივაც დამაკმაყოფილებელია. გაზეთში მოთავსებულია წერილები შემდეგ თემებზე: წითელ არმიელთა თვითმოქმედება, სამხედრო საქმე, თვითმომქმედი წრეების მუშაობა; შემდეგ პროლეტარული პოეზია, იუმორი, მეგობრული შარჟი და სხ. გაზეთში მოთავსებული წერილები ეკუთვნიან თვით წითელ არმიელებს.

გაზეთს აქვს მხოლოდ ერთი ნაკლი, რომ წერილების სათაურები ნამეტნავად დიდი ასოებითაა დაწერილი, რაც დიდ ადგილს იკავებს გაზეთში.

რედკოლეგიას ვუსურვებთ ეს პატარა ნაკლიც გამოესწორებიოს და კვლავ ასე ენერგიულად განეგრძოს თავისი მუშაობა.

სამხკორი კლდის პირელი.

## პასუხად ამხ. „ძველს".

გაზეთ „წითელ არმიელი"-ს № 177-ში იყო მოთავსებული წერილი წით. არმიელ ამხ. „ძველის" მიერ „მყვირალა დალაქის" სათაურით.

ამხანაგი სწერს: 1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდში არის წითელი არმიელი დალაქი, რომელსაც თითქოს სხვა საქმე არ ქონდეს გარდა წით.არმიელების გაპარსვის და გაკრეჭისა, მაგრამ ამ საქმის შესრულების დროს თავისი ყვირილით და ლანძღვით ის აშინებდეს გუნდის წით. არმიელებს, გაურბოდენ მას და რჩებოდენ წვერ მოუპარსავი.

ეს ნამდვილი ცილისწამებაა და მეტი არაფერი.

ეს დალაქი ჩვენს გუნდს ემსახურებოდა საკუთარი ხელსაწყოთ თითქმის 3—4 თვე.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ვინმე გაელანძღოს.

რაც შეეხება იმას თითქოს ის გაკრეჭის და გაპარსვის მეტს არაფერს აკეთებდეს, ესეც არ არის მართალი.

წითელ არმიელი დალაქი სარგებლობს ამ უფლებებით მხოლოდ კვირაში ორ დღეს შაბათს და პარასკევს. პარსავს და კრეჭს 72 წითელ არმიელს დანარჩენ დღეებში ის გადის განწესებაში ისე, როგორც სხვა ყველა წითელ არმიელები.

წით. არმ. ა. მსხილაძე.

# პარტიული ცხოვრება.

## ახკომკავშირელთა შორის.

### მე-5 ლეგიონის კომკავშირის გაერთიანებული კრება.

ამ დღეებში შესდგა მე-5 ლეგიონის კომკავშირის გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო ლეგიონის ყველა კომკავშირელები. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობა სოფლისათვის, 2. კლუბის ერთი თვის მუშაობის შესახებ 3. მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტკომის წარმომადგენელმა ამხ. კვიცარიძემ, რომელმაც ფართოდ გააშუქა ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობა სოფლისათვის და მნიშვნელობა გარდაქმნის საქმეში შემდეგ ლობაში მიმდეგი წითელ არმიელების როლი. მოხსენების შესახებ იქნა გამოტანილი შესაფერისი რეზოლუცია.

კლუბის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლოლაძე, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას კლუბის ერთი თვის მუშაობის ანგარიში.

სამხკორი **ახალციხელი.**

**სოფ. №-ის ა. ლ. ქ. კ. მუშაობა**

ქართულ უფროსს მეთაურთა სკოლის თავის შეფობის ქვეშ ჰყავს აყვანილი სოფელი №. 1923 წელს ამ სოფლის სკოლის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული იქნა ა. ლ. ქ. კ. უჯრედი. უჯრედის მუშაობა მეტად ნაყოფიერია. 1923 წელს მას ყავდა 15 წევრი და დღეს კი-43 წევრი. უჯრედთან არსებობს სხვა და სხვა წრეები:

წერა-კითხვის სალიკვიდაციო, დრამატიული, პოლიტიკური და სხ. ყველა წრეებში მეცადინეობა სისტემატიურად წარმოებს. გვაქვს ბიბლიოთეკა. მოგვდის გაზეთები „კომუნისტი", „მუშა", „სპარტაკი" და „წითელი არმიელი." გვყავს საკმაო რიცხვი მკითხველებისა. ყოველივე ეს ნაყოფია მეთაურთა სკოლის დაუღალავი მუშაობისა.

ახკორი **ი. ზუმბაძე**

# სამხედრო პროკურორო სიტყვა თქვენია.

1-ლ აგვისტოს ბანაკში გაიმართა საღამო „რემედას-"ის სასარგებლოდ. მოწვეული იყო ყველა აქ მდგომ ნაწილებიდან ძალები საღამოს ჩასატარებლად, მეც გრიმში ვიყავი სცენაზე როდესაც ვიხილე შემაძრწუნებელი სურათი:

ცხენოსან ლეგიონის მესაკრავეთა უფროსს გარიბოვს გაეყვანა კულისებში თავისი მუსიკანტი ივანე კოდჟოევი და რაღაცაზე ცხარეთ ეკამათებოდა, ხელში ეჭირა მათრახი, უცბათ მათრახი მარცხენა ხელში გადიტანა და ლაზათიანი სილა გააწნა კოდჟოევს. შემდეგ მარცხნიდან მარჯვენა ხელს გადასცა და კვლავ შესთავაზა სილა მარცხენა ყბაში. ეს ისე სწრაფად შეასრულა რომ მე სახტათ დავრჩი.

ეტყობა გარტყმაში გ-ნი გარიბოვი დახელოვნებული უნდა იყვეს. იქვე ამ სურათს შემოესწრო მე-3-ე ლეგიონის წითელ-არმიელი კონსტანტინე მანსვეტოვი და მიმართა გარიბოვს—ამხანაგო უფლება არ გაქვს ცემის, ეს ძველი რეჟიმის დროს იყოვო. გ-ნ გარიბოვს რომ ბოლოში მიეხვდა მის ნაცვლად უპასუხა „да я старорежимец и не твое дело"-ო. მანსვეტოვს და გარიბოვს შორის მოხდა შელაპარაკება თორემ შესაძლოა გარიბოვი ორ სილას არ დააჯერებდა წითელ მოლაშქრე კოდჟოევს.

სურათი იხილეს აგრეთვე თბილისიდან ჩამოსულმა საღამოში მონაწილე რუს მსახიობ ქალებმა და კაცებმა და ძალიან გაუკვირდათ. ერთმა ქალთაგანმა სთქვა; „Неужели в красной армии мордобитие имеет место"? მოქ. გარიბოვი ჩირქსა სცხებს მთელ წითელ ჯარის უფროსთა შემადგენლობას ასეთი თავის საქციელით. ძალიან მეინტერესება გავიგო რა ზომები მიიღო ამის შესახებ ცხ. ლეგთავმა და სამხკომმა.

მე-2 ლეგ. სკოლის პოლიტხელი **გ. ჭკადუა.**

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ეძლევა თუ არა მეთაურის ოჯახობას მშობიარების დროს საექიმო დახმარება ფულად, და თუ ეძლევა რამდენი?

მეთაური.

**პასუხი.** თანახმად ა. წ. რევსამხსაბჭოს ბრძანების № 309 ეძლევათ დახმარება იმ რაოდენობით, როგორც ეს განსაზღვრულია დაზღვეულთათვის სოც. დამზღვევ სალაროში.

მიმართეთ უშუალოდ უფროსს თანდართულ „მაჩ"-ის მოწმობით ბავშვის დაბადების შესახებ.

**კითხვა.** 1924 წ. ვარ გაწვეული სამხედრო სამსახურში სახლში მყავს 65 წ. მამა, 53 წ. დედა და სამი უმცროსი ძმა. სახლში მქონდა მიტანილი ქვა. ვფიქრობდით სახლის შეკეთებას, მაგრამ ჩემი წამოსვლის შემდეგ ეს საკითხი გადაიდო. ეხლა ეს ქვა საქობოს საბჭოს (სიღნაღის მაზრა) თავმჯდომარეს ჩამოურთმევია ბიბლიოთეკის ასაშენებლად. ქვა იქვე ახლოსაა მაგრამ ეტყობათ დაეზარათ მოტანა. შეეძლო თუ არა საბჭოს თავმჯდომარეს ქვის ჩამორთმევა.?

წითელი არმიელი **ხარაზიშვილი.**

პასუხი. წითელ არმიელების ოჯახებს პირიქით საზოგადოება უნდა დაეხმაროს. ამის შესახებ მიმართეთ უშუალოდ თქვენს უფროსს, რომელიც თქვენს განცხადებას გადაგზავნის მაზრაღმასკომში, რომ თქვენ ქვა დაგიბრუნდეთ.

**კითხვა.** ვარ უღარიბესი გლეხის შვილი. არაფერი არ მაქვს სოფლად. უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ შემიძლია თუ არა რაიმე სამსახურის შოვნა. როგორ მოვიქცე ან ვის უნდა მივმართო ამის შესახებ?

წითელ-არმიელი №

პასუხი. ამის შესახებ უნდა მიმართოთ თქვენს უფროსს და უნდა აღნიშნოთ, თუ რა ხელობა იცით ან რისი გაკეთება შეგიძლიათ. შემდეგ უფროსი შუამდგომლობას აღძრავს რომელიმე დაწესებულების წინაშე.

**კითხვა.** შეიძლება თუ არა სამხედრო ნაწილში ბიბლიოთეკა იყოს დაკეტილი კვირაში ერთი დღეს. აგრეთვე რომელი დღე და საათები ითვლება ბიბლიოთეკის მომუშავებისათვის დასასვენებელ დღეთ?

**სკვინჩა.**

პასუხი. ყოველ ბიბლიოთეკის გამგეს ყავს თანაშემწე. შეიძლება მორიგეობით კვირაში ერთი დღით დასვენება ბიბლიოთეკის დაუკეტავად. დასასვენებელ დღეთ ითვლება ორშაბათი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## დაღუპულ ქვეყნის საძებნელად.

დეპეშა ურგიდან იტყობინება ახალ მეცნიერულ აღმოჩენებზე ამერიკის სამეცნიერო ექსპედიციისა მონღოლეთში. ეს ექსპედიცია მოწყობილია ამერიკის ბუნებისმეტყველების ისტორიის მუზეუმის, რომელიც ითვლება ერთ უმდიდრეს მეცნიერულ დაწესებულებად და ამ მუზეუმის, დირექტორის ჰენრი ოსბორანის რჩევით.

ეს მეცნიერი დიდი ხანია ამტკიცებდა, რომ ადგილად, სადაც წარმოიშვა ადამიანთა მოდგმა და უმრავლესობა ცხოველებისა უნდა ჩაითვალოს მონღოლეთის უდაბნოები, და მისი შეხედულების შესამოწმებლად მოეწყო ეს ექსპედიცია, რომელსაც ეწოდება „აზიის მესამე ექსპედიცია".

ამ ექსპედიციის მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1920 წ. ტეხნიკურად ექსპედიცია მშვენივრადაა მოწყობილი.

ექსპედიციის შემადგენლობა შეიარაღებულია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და შემდგარია გამოჩენილ სპეციალისტებისაგან.

დაწყებითი გეოლოგიური შედეგები ექსპედიციისა გამოიხატა იმ ფაქტის მიღებაში, რომ დედამიწის ისტორიის გარიჟრაჟზე აზიის კონტინენტი შესდგებოდა 5 ცალ-ცალკე არსებულ ძველ კონტინენტებისაგან.

ამ კონტინენტებმა მიიღეს სახელწოდება ანგარი (უმთავრესად ციმბირი); გობი (მონღოლეთი); ტიბიტი (ტიბეტი) გონდვანი (არაბეთი, ინდოეთი, ინდო—ჩინეთი) და კატაზია (იაპონია, ფილიპინის კუნძულები და ჩინეთის ნაპირი).

ექსპედიციამ აღმოაჩინა მდიდარი მაღანი ძველი გიგანტიური ცხოველთა სამეფოს, რომლებითაც დასახლებული იყო ძველად მთელი ქვეყანა.

აღმოაჩინა აგრეთვე კვერცხები ამ ბუმბერაზ დინოზავრებისა, ყველაზე ძველი კვერცხები ქვეყანაზე.

ყველაზე უკანასკნელი აღმოჩენა ექსპედიციისა—ქვის საუკუნის ადამიანის ჩონჩხებია. გობის უდაბნოში, კალგანიდან დასავლეთით 700 ვერსით გორბუნ-საიგანის მიდამოებში აღმოჩენილია ადამიანის კვალი: ჩონჩხის ნაწილები, ქვის იარაღები, მოწყობილი კერა, ძვლები და სირაქლემას კვერცხების ნაჭუჭები.

მეცნიერები ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ აღმოჩენის საბოლოო შეფასებიდან, მაგრამ ფიქრობენ, რომ ისინი უნდა მიეკუთნონ 10-12 ათას საუკ. წინა ხანებს ჩვენი წელთა რიცხვის დაწყებამდე.

ეს ციფრები თავის-თავად ვერ გააკვირვებენ სპეციალისტებს, რადგან ადამიანის პირველი გამოჩენა ევროპის მატერიკზე (კრომანიონის რასა) მოხდა 25-35.000 წ. წინად.

მიუხედავად ამისა ადამიანის ჩონჩხების აღმოჩენა გობის უდაბნოებში წარმოადგენს მეტად დიდ მეცნიერულ ინტერესს.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ნინუასკუთხელს.** თქვენი წერილი „რემედასის" მნიშვნელობაზე არ გავა. მოიწერეთ მისი მუშაობაზე თქვენთან.

**პოლიტმომუშავეს.** ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

**ამხ. ხაზალიას.** „რა უნდა ვაკეთოდ სოფლად" არ დაიბეჭდება. ამის შესახებ საკმაოდ იბეჭდება ჩვენს გაზეთში წერილები.

**ამხ. მაისაიას.** თქვენი წერილი „რას აკეთებენ წრეები ნაწილებში" დიდია. მოიწერეთ კონკრეტიულად წრეების უარყოფით თუ დადებით მხარეებზე.

**ამხ. ბიკს.** თქვენი წერილი „უვადო შვებულებაში მიმავალ წ. ა." არ გავა. მოიწერეთ თქვენი ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. ტყვიამფრქვევს.** „მოსამართლენი ასეთი უნდა" არ დაიბეჭდება. თუ უკმაყოფილო ხართ განაჩენით შეგიძლიათ გაასაჩივროთ.

**ქ. სალარაძეს.** „მორიდებულებს ნუ დაფარავთ" თუ ვინმე ფარავს ასეთებს აცნობეთ სადაც საჭიროა.

**ამხ. კვაჭაძეს.** „სწავლის მეთოდის გაუმჯობესება წ. ჯარში" არ გავა. ამის შესახებ თქვენი გეგმა შეიტანეთ სამხედრო მასწავლებელთა წრეში.

**ამხ. დეისაძეს.** მიმართეთ თქვენს ბიბგამგეს, რომ გაზეთი „წითელი ვარსკვლავი" გამოგიწერონ.

**ამხ. ცქიტიშვილს.** მიმართეთ თქვენს უფროსს და ის გაგაგზავნით კბილის ექიმთან.

**X.** თქვენი ლექსი „ძლვნად პოლონელ გმირებს" არ დაიბეჭდება. სუსტია. მოიწერეთ თქვენი ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. საწირელს.** „წერილი უვადო შვებულებაში მიმავალ წ. ა." არ გავა. ეს განმეორებაა რამოდენიმეჯერ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილებისა. ხშირად მოიწერეთ თქვენი ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. ახლანს.** „მოვკვეცით კუთვნილი შაქარი" არ გავა. მოათავსეთ კედლის გაზეთში.

**ამხ. ურუშაძეს.** „მივატოვეთ თამბაქოს წევა" მოათავსეთ კედლის გაზეთში.

**ავტორს.** „მჩაგვრელი გახდეს მტრის გულისათვის" არ გავა. ჯერ სათაური გაუგებარია, შემდეგ თვით ლექსი სუსტია.

# ვის აქვს საწინააღმდეგო

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ: 1. ამხ. მაიერი პავლე გუსტავის ძე, თბილისის მცხოვრები, 2. ამხ. ნაზაროვი ივანე ალალოს ძე, თბილისის მცხოვრები, 3. ამხ. ტერ-ოგანეზოვი გრიგორი ვართანის ძე, თბილისელი. ყველა ზემო აღნიშნული ამხ. არიან საქ. კომპარტიის კანდიდატები და თხოულობენ პარტიის წევრათ გადარიცხვას.

ახ. ლენინელთა კომუნისტური ჯგუფში აქვთ შემოტანილი განცხადებები ქვემო ჩამოთვლილ ამხ., რომლებიც თხოულობენ კომკავშირის წევრებად მიღებას: 1. ბატიაშვილი ვასილი, თელავის მაზრა, სოფ. ქვემოხოდაშენი, 2. დავითულაშვილი დავითი, გორის მაზრა, სოფ. ნიაბი, 3. დვალი ალექსანდრე, რაჭის მაზრა, სოფ. შავრა, 4. გიორგელაშვილი გიორგი, თელავის მაზ. სოფ. კურდღელაური, 5. კაცაძე გრიგორი, 6. ქყოიძე ივანე, შორაპნის მაზრა, 7. გელბახიანი მიხეილი, შორაპნის მაზრა, 8. ვაშაკაშვილი ბესო, 9. კიკვიძე ამბროსი, რაჭის მაზრა, სოფ. ცახი, 10. ვახვახიშვილი ნიკო, თელავის მაზრა, 11. აფრიაშვილი სერგო, თელავის მაზრა, 12. ვეფხვაძე იპოლიტე, შორაპნის მაზრა, 13. ცუცქირიძე ვარლამ, შორაპნის მაზრა, 14. სუქნიძე გრიგორი, შორაპნის მაზრა. თუ ვისმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედს.

კომუჯრედის მდივანი **ჯავახოვი.**

მე-6-ე ლეგიონის № 4 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ამავე ლეგიონის უფროს მასწავლებელს მიხეილ ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძეს, მცხოვრებ სამხრეთ ოსეთის, საშუალო განათლების ინტელიგენტი, სხვა პარტიაში, როგორც თვითონ აცხადებს არ ყოფილა.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მისი პარტიაში მიღების შესახებ. გთხოვთ აცნობოთ მე-6-ე ლეგიონის № 4 უჯრედის მდივანს 10 დღის განმავლობაში.

**მე-6-ე ლეგ. № 4 უჯრედის პასუხის მგებელი მდივანი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.